

მსს ფასს – ივლისი, 2009 წ.

**შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020წ. 31 დეკემბერს**

დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში. ს/ნ 225368330. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: ქ. ბოლნისი, დავით აღმაშენებლის N25 კომპანიის დამფუძნებლები არიან დარეჯან ჩხეტიანი -50 % და გია სანიკიძე -50%. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება.

**2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და
სააღრიცხვო პოლიტიკა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მის აღებიდან ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმპერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. კომპანიას სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები გააჩნია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, საგადასახადო მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20-პროცენტი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი 20- პროცენტი

სატრანსპორტო საშუალება 20 პროცენტი, შენობა-ნაგებობები 5-პროცენტი.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც, ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება საგადასახადო მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა

დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ

სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018, 2019 და 2020 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	59595.10	18988.89	160490.00
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0.00	0.00	0.00
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	357.44	146375.08	13144.30

უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0.00	0.00	0.00
დეპოზიტი აშშ დოლარის ანგარიშზე	0.00	0.00	0.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში/ევრო	0.00	0.00	0.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში/რუბლი	0.00	0.00	0.00
ბარათი აშშ დოლარი	0.00	0.00	0.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში /ბრიტანული გირვანქა	0.00	0.00	0.00
სულ	59952,54	365363,97	173634.30

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,661,601	1,656,033	1,306,861
საექვო მოთხოვნების რეზერვი			-
სულ	1,661,601	1,656,033	1,306,861

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0,00	0,00	0,00
სულ	0,00	0,00	0,00

7. მარაგები

მარაგების ნაშთები 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
ნედლეული და მასალები	110709,00	43064	98187
სხვა საწარმოო მარაგი	0,00	0,00	0,00
სულ	110709,00	43064,00	98187,00

8. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები (დაზღვევა)	0,00	0,00	0,00
სულ	0,00	0,00	0,00

9. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
ერთიანი საგადასახადო ანგარიში	2,77	4986	(38076)
სულ	2,77	4986	(38076)

კომპანიას ხელშეკრულების თანახმად მშრალი იჯარით აქვს აღებული სატვირთო თვითმფრინავი მეიჯარიგან. მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს თვითმფრინავის ტექნიკურად გამართვა თავისი ხარჯებით, სადაც არ უნდა იყოს ბორტი. რის გამოც იგი აგზავნის სათადარიგო ნაწილებს, რომელიც განბაჟებულია შპს “თი სი ეი“-ს სახელზე. იმპორტის საბაჟო დეკლარაციებით დარიცხული და გადახდილი დღე ჩათვალაშია ნაჩვენები.

10. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკ. 2020 31 დეკ. 2019 31 დეკ. 2018

გუდვილი	4036150	4036150	4036150
სულ	4036150	4036150	4036150
დაგროვილი ცვეთა	(0,00)	(0,00)	(0,00)
სულ	(0,00)	(0,00)	(0,00)
საბალანსო ღირებულება	4036150	4036150	4036150

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	შენობა- ნაგებობე ბი 2130/2140	მანქანა- დანადგარები 2150	ოფისის აღჭურვი ლობა 2160- 2170,2190	სატრანსპორტო საშუალებები 2180	სულ აქტივები
თვითღირებულება					
31.12.2019	703252,29	1060458,20	375345,73	17046,42	2156102,64
შემოსვლა	0	378749,00	15434,15		394183,15
გასვლა/ჩამოწერა		(75704,74)	(67030,64)		(142735,38)
31.12.2020	703252,29	1363502,46	323749,24	17046,42	2407550,41
დაგროვილი ცვეთა					
31.12.2019	(71455,03)	(433514,2)	(140844,88)	(2327,82)	(648141,93)
პერიოდის ცვეთა	(31589,87)	(163183,6)	(39611,37)	(1223,57)	(235608,41)
გასვლა/ჩამოწერა		28148,95	26882,55	-	55031,5
31.12.2020	(103044,90)	(568548,90)	(153573,70)	(3551,39)	(828718,84)
საბალანსო ღირებულება					
ბალანსი 31.12.2019	631797,26	626944,00	234500,85	14718,60	1507960,71
ბალანსი 31.12.2020	600207,39	794953,56	170175,54	13495,03	1578831,57
დაუმთავრებელი მშენებლობა					
31.12.2019	254083,32				
შემოსვლა	200680,08				
31.12.2020	454763,40				

12. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის
მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	597072	242007	104787
მიღებული ავანსები	0,00	0,00	0,00
ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	0,00	0,00	0,00
სულ	597072	242007	104787

13. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის
მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2020	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	752092	940574	710539
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0,00	0,00	0,00
სულ	752092	940574	710539

14. ბანკის ოვერდრაფტი და სესხი

კომპანიას ბანკის ა სესხები გააჩნია.

15. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები

საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები კომპანიას არ აქვს

16. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება - გასამრჯელო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება - გასამრჯელო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის კომპანიას არ აქვს.

17. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებების დარიცხვის აუცილებლობა კომპანიას არ წარმოშობია.

18. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის
მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკ. 2020

31 დეკ. 2019

31 დეკ. 2018

დამფუძნებლების კაპიტალი	0,00	0,00	0,00
გაუნაწილებელი მოგება	1110890	668247	554404
სულ	1110890	668247	554404

2019 წელს შპს „ბოლნისის ცენტრალურ კლინიკამ“- მ დივიდენდი გამოაცხადა 99071 ლარი.

19. ამონაგები

ამონაგები 2019 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5333401	4956433
სხვა სამეწარმეო შემოსავლები		0
სულ	5333401	4956433

20. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯი 2019 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	2412973	2392456
სულ	2412973	2392456

21. ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020
ცვეთა და ამორტიზაცია	(235608)
სულ	(235608)

22. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2019 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი	(573834)	(536127)
სულ	(573834)	(536127)

23. იჯარის ხარჯი

იჯარის ხარჯი 2019 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება

წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
ოფისის იჯარა		
სულ		

24. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2020 მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	
კომუნიკაციის ხარჯი	(7037)	
კომუნალური ხარჯები	(166733,05)	
სხვა მიწოდების ხარჯები		
საექვო მოთხოვნების ხარჯი		
სხვა საგადასახადო ხარჯი		
ოფისის ხარჯები		
დაზღვევა	(28347,26)	
სხვადასხვა საერთო ხარჯი	(339056,73)	
ბანკის საკომისიო ხარჯები	(11719,35)	
საწვავის ხარჯი	(5609,26)	
დასუფთავების ხარჯი	(10342,5)	
აეროპორტების მომსახ. ხარჯი		
საფოსტო ხარჯი		
ტექნიკური მომსახურების ხარჯი		
საკონსულტაციო ხარჯი	(500)	
საფრენოსნო ინფ. დამუშავების ხარჯი		
პერსონალის ტრენინგის ხარჯი		
sita-ს ხარჯი		
პერსონალის სამედიცინო მომსახ. ხარჯი		-
კომპიუტერული მომსახ. ხარჯი	(3000)	
მანქანების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი		
ნაწილების მოძიების საიტის მომსახურება/ნავიგაციის		
ბაზების განახლება-წლიური მომსახ.		
მივლინების ხარჯები		
სხვა საწარმოო ხარჯი		
წარმომადგენლობითი ხარჯი		
სულ	(572345)	

25 . წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2019 და 2020 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
დადებითი საკურსო სხვაობა	2624,73	1285,78

უარყოფითი საკუროს სხვაობა	(2536,45)	(506524,99)
სულ	88,28	(505239,21)

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში არ ფიქსირდება.

27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 მაისს.

ფორმა N1- კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59 953	165 364	173 634
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 661 601	1 656 033	1 306 861
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-	-
მარაგები	110 709	43 064	98 187
- მზა პროდუქცია	-	-	-
- სხვა	110 709	43 064	98 187
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	38 076
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით	-	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	4 036 150	4 036 150	4 036 150
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	1 033 595	1 762 044	1 592 826
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	7 902 008	7 662 655	7 245 734

ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	597 072	242 007	104 787
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	752 092	940 574	710 539
საგადასახადო ვალდებულებები	3	4 986	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	218 804	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	5 387 481	5 575 465	5 876 004
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	54 470	12 572	-
სულ ვალდებულებები	6 791 118	6 994 408	6 691 330

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'სააქციო კაპიტალი')	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	1 110 890	668 247	554 404
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	-	-	-
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური	-	-	-

სულ საკუთარი კაპიტალი	1 110 890	668 247	554 404
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7 902 008	7 662 655	7 245 734
სულ მოკლევადიანი აქტივები	14 118	11 300	63 926
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1 652 245	1 650 836	1 306 243

ფორმა N2- კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	5 333 401	4 956 433
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	5 333 401	4 956 433
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	(1 238 230)	(991 587)
საერთო მოგება	4 095 171	3 964 846
სხვა საოპერაციო შემოსავალი	333 855	82 114
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2 412 973)	(2 392 456)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(235 608)	(275 707)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(573 834)	(536 127)
იჯარის ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(572 345)	(728 827)
სულ საოპერაციო ხარჯები	(3 460 905)	(3 851 003)
საოპერაციო მოგება	(634 266)	(113 843)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და ს	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(92 552)	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაც	541 714	113 843
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	541 714	113 843

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასე	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქო	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	541 714	113 843

მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული მოგება (ზარალი)	-	-
არამაკონტროლებელ წილეებზე მისაკუთვნიებული მოგება (ზარალი)	-	-
მოგება / (ზარალი)		

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:

მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებული მთლიანი შემოსავალი		
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებული მთლიანი შემოსავალი		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	668 247	554 404
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოპი)	(99 071)	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 110 890	668 247

ფორმა N3 - კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამო	(105 411)	(8 270)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენ	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(105 412)	(8 270)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	165 364	173 634
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	59 953	165 364